ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5123535

ნომერი: AR1774037

თარიღი : 15.09.2020

გაცემის თარიღი : 29.09.2020

გაცნობის თარიღი : 30.09.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა იოანე პეტრიწი , N 2ა , მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ელკანიშვილი პ/ნ 01019012914
- თბილისი, საბურთალოს რაიონი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N14

ორგანიზაცია:

- შპს მონოლითი 1 კოდი: 405199315

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ადმინისტრაციული - საქმიანი ობიექტები
  - ოფისი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019

წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1.ვინაიდან მიწის ნაკვეთს კვეთს ხაზოვანი ნაგებობები N01.00.194 (ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული), 01.02.859 (შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანია“), 01.01.392 (ამხანაგობა "მირაჟი" - ელ.გადამცემი ხაზი), 01.02.465 (მესაკუთრე-სახელმწიფო), (N 01.01.799 და N01.02.696 (შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"), ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი, საჭიროა წარმოადგინოთ ხაზოვანი ნაგებობების მესაკუთრეების პოზიცია/თანხმობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების თაობაზე
ასევე საჭიროა წარმოადგინოთ სს "თელასის" პოზიცია სამშენებლო სამუშაოების თაობაზე;

2.ვინაიდან მიწის ნაკვეთზე ვრცელდება ზოგადი საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ), საჭიროა წარმოადგინოთ მიმდებარე განაშენიანების კვლევა. აღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ საკითხი გადაიგზავნება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში კონკრეტული ქვეზონის დასადგენად.
მიმდებარე განაშენიანების კვლევის წარმოსადგენად იხელმძღვანელეთ 14-39 დადგენილების მე-19 მუხლით;

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.